ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 275

2 ივლისი
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.013.066) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის" (ს/კ. 404903734) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №79-ში, მე-3 კვარტალის კორპუსი №15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.013.066) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის" (ს/კ. 404903734) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის №21.851.969 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.013.066) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის" (ს/კ. 404903734) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე